

ცხადდება კონკურსი
აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის წარმომადგენლებისთვის
ერაზმუს+ პროგრამის სტიპენდიების მოსაპოვებლად

!!! ფიზიკური მობილობის განხორციელება დამოკიდებული იქნება ეპიდემიოლოგიურ სიტუაციაზე საქართველოსა და ევროპაში, ასევე მიმღებ ქვეყანაში შესვლასთან და დარჩენასთან დაკავშირებულ რეგულაციაზე

აკადემიური პერსონალისთვის:

ავსტრია

- იოჰანეს კეპლერის ლინცის უნივერსიტეტი:
მიმართულება: მათემატიკა
მობილობის ხანგრძლივობა: 5 სამუშაო დღე + არაუმეტეს 2 დღისა მგზავრობისთვის

<https://www.jku.at/en>

- ბუნებრივი რესურსებისა და სიცოცხლის შემსწავლელი უნივერსიტეტი (BOKU)
მიმართულება: სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის აკადემიური პერსონალისთვის
მობილობის ხანგრძლივობა: 5 სამუშაო დღე + არაუმეტეს 2 დღისა მგზავრობისთვის

<https://boku.ac.at/en/>

გერმანია

- ბრემენის უნივერსიტეტი
მიმართულება: ეკონომიკის საერთაშორისო სკოლა (ISET)
მობილობის ხანგრძლივობა: 5 სამუშაო დღე + არაუმეტეს 2 დღისა მგზავრობისთვის

<https://www.uni-bremen.de/en/>

- შპაიერის ადმინისტრაციულ მეცნიერებათა უნივერსიტეტი (გერმანულენოვანი):
მიმართულება: იურიდიული

<https://www.uni-speyer.de/>

- ფრაიბურგის კათოლიკური უნივერსიტეტი
მიმართულება: სოციალური მუშაობა
მობილობის ხანგრძლივობა: 8 დღე

<https://www.kh-freiburg.de/start>

- აახენის რაინ-ვესტფალიის ტექნიკური უნივერსიტეტი
მიმართულება: ეკონომიკა და ბიზნესი, ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები
მობილობის ხანგრძლივობა: 5 სამუშაო დღე + არაუმეტეს 2 დღისა მგზავრობისთვის

<https://www.rwth-aachen.de/go/id/a/>

- კილის გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტში
მიმართულება: ბიზნესი, საინფორმაციო ტექნოლოგიები
მობილობის ხანგრძლივობა: 5 სამუშაო დღე + არაუმეტეს 2 დღისა მგზავრობისთვის

<https://www.fh-kiel.de/startseite/>

იტალია

- ვენეციის კა'ფოსკარის უნივერსიტეტი
მიმართულება: არქეოლოგია
მობილობის ხანგრძლივობა: 10 დღე

<https://www.unive.it/pag/13526/>

- ბოლონიის უნივერსიტეტი
მიმართულება: საერთაშორისო ურთიერთობები, პოლიტიკის მეცნიერება, კონფლიქტოლოგია
მობილობის ხანგრძლივობა: 5 სამუშაო დღე + არაუმეტეს 2 დღისა მგზავრობისთვის

<https://www.unibo.it/en/homepage>

ესპანეთი

- როვირა და ვირჯილის უნივერსიტეტი
მიმართულება: არქეოლოგია, პალეობიოლოგია და პალეოანთროპოლოგია
მობილობის ხანგრძლივობა: 5 სამუშაო დღე + არაუმეტეს 2 დღისა მგზავრობისთვის

<https://www.urv.cat/en/>

თურქეთი

- ბურსას ტექნიკური უნივერსიტეტი
მიმართულება: ბიზნესის ადმინისტრირება
მობილობის ხანგრძლივობა: 5 სამუშაო დღე + არაუმეტეს 2 დღისა მგზავრობისთვის

<https://btu.edu.tr/en>

პოლონეთი

- სოციალური და მედია კულტურის აკადემია ტორუნში
მიმართულებები: პოლიტიკის მეცნიერებები, ჟურნალისტიკა, ისტორია
მობილობის ხანგრძლივობა: 5 სამუშაო დღე + არაუმეტეს 2 დღისა მგზავრობისთვის

<https://wksim.edu.pl/>

რუმინეთი

- ორადეას უნივერსიტეტი
მიმართულება: საერთაშორისო ურთიერთობები და პოლიტიკის მეცნიერებები
მობილობის ხანგრძლივობა: 5 სამუშაო დღე + არაუმეტეს 2 დღისა მგზავრობისთვის

<https://www.uoradea.ro/The+University+of+Oradea>

სლოვაკეთი

- კონსტანტინე ფილოსოფოსის სახელობის უნივერსიტეტი ნიტრაში
მიმართულებები: საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები
მობილობის ხანგრძლივობა: 5 სამუშაო დღე + არაუმეტეს 2 დღისა მგზავრობისთვის

<https://www.ukf.sk/en/>

უნგრეთი

- კაროლი გასპარის უნივერსიტეტი
მიმართულება: ინგლისური ფილოლოგია
მობილობის ხანგრძლივობა: 10 დღე

<https://english.kre.hu/>

ადმინისტრაციული პერსონალისთვის:

ავსტრია

- ბუნებრივი რესურსებისა და სიცოცხლის შემსწავლელი უნივერსიტეტი (BOKU)
მიმართულება: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ადმინისტრაციული პერსონალისთვის
მობილობის ხანგრძლივობა: 5 სამუშაო დღე + არაუმეტეს 2 დღისა მგზავრობისთვის

<https://boku.ac.at/en/>

გერმანია

- შპაიერის ადმინისტრაციულ მეცნიერებათა უნივერსიტეტი (გერმანულენოვანი):
მიმართულება: იურიდიული

<https://www.uni-speyer.de/>

თურქეთი

- ახლო აღმოსავლეთის ტექნიკურ უნივერსიტეტი (METU)
ადმინისტრაციული პერსონალი რომელთა სამუშაო სპეციფიკადაკავშირებულია უცხოელი აპლიკანტების მოზიდვასთან და საერთაშორისო სტუდენტთა მართვასთან
მობილობის პერიოდი: 2023 წლის 12-16 ივნისი (პერსონალის საერთაშორისო კვირეული)

<https://www.metu.edu.tr/>

- უშაკის უნივერსიტეტი
მიმართულება: ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური
მობილობის პერიოდი: 2023 წლის 29 მაისი - 2 ივნისი (პერსონალის საერთაშორისო კვირეული)

<https://www.usak.edu.tr/Home/Index/Ingilizce>

საფრანგეთი

- რენის გამოყენებით მეცნიერებათა ეროვნული ინსტიტუტი
მიმართულებები: კომპიუტერული მეცნიერება
მობილობის ხანგრძლივობა: 5 სამუშაო დღე + არაუმეტეს 2 დღისა მგზავრობისთვის

<https://www.insa-rennes.fr/>

ნორვეგია

- ოსლოს უნივერსიტეტი
მიმართულება: სკანდინავისტიკა
მობილობის ხანგრძლივობა: 15 სამუშაო დღე

<https://www.uio.no/english/>

რუმინეთი

- ალექსანდრუ იოან კუზას სახელობის იაშის უნივერსიტეტი
მიმართულება: უწყვეტი განათლების ცენტრი, სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტი/სამსახური, საფინანსო დეპარტამენტი, სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტი
მობილობის პერიოდი: 2023 წლის 3-7 ივლისი (პერსონალის საერთაშორისო კვირეული)

<https://www.uaic.ro/en/>

მოცემული კონკურსის ფარგლებში გამოცხადებული ყველა საგრანტო ადგილის შესაბამისი მობილობა (გარდა ალექსანდრე იოან კუზას სახელობის იაშის უნივერსიტეტში მობილობისა) უნდა განხორციელდეს 2023 წლის 30 ივნისამდე!

სტიპენდიატა შესარჩევი პროცესი:

- ელექტრონული განაცხადისა და შესაბამისი დოკუმენტაციის შემოწმება (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი)
- გასაუბრება კანდიდატთა შესარჩევ კომისიასთან (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი)
- საბოლოო შერჩევა/სტიპენდიის მინიჭება (მასპინძელი უნივერსიტეტი)

სააპლიკაციო დოკუმენტაციის ჩამონათვალი:

1. პასპორტის ასლი;
2. ცნობა სამსახურიდან ინგლისურ ენაზე (თსუ-ში ყველა დაკავებული აკადემიური და ადმინისტრაციული თანამდებობის მითითებით);
3. CV-ს ევროპული ფორმატი ინგლისურ ენაზე <https://europa.eu/europass/en/create-europass-cv>
4. რეკომენდაცია ინგლისურ ენაზე (ელექტრონულ სარეგისტრაციო პორტალზე mobility.tsu.ge რეკომენდატორის ველში უნდა შეიყვანოთ თქვენი რეკომენდატორის მონაცემები. რეკომენდატორს მეილზე ეგზავნება ბმული, სადაც ონლაინ ავსებს რეკომენდაციას);
5. შევსებული სამუშაო გეგმა ინგლისურ ენაზე;
 - ა) აკადემიური პერსონალის/სწავლების მიზნით მობილობის (Staff Mobility for Teaching) შემთხვევაში: სამუშაო გეგმა უნდა მოიცავდეს 8 სალექციო საათს კვირაში; დოკუმენტი უნდა იყოს დამოწმებული თსუ-ს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის ხელმოწერით და ბეჭდით; **დანართი 1;**
 - ბ) ადმინისტრაციული პერსონალის/ტრენინგის მიზნით მობილობის (Staff Mobility for Training) შემთხვევაში: შევსებული მობილობის ხელშეკრულება თსუ-ს შესაბამისი სამსახურის/დეპარტამენტის ხელმოწერით დამოწმებული; **დანართი 2;**
6. მასპინძელი უნივერსიტეტის მიერ გაცემული დაინტერესების წერილი (**pre-acceptance**) (ოფიციალური წერილი სავალდებულო არ არის, საკმარისია მეილით მიღებული თანხმობა/დაინტერესების დასტური, რომელიც გაცემული იქნება მასპინძელი უნივერსიტეტის შესაბამისი აკადემიური მიმართულების სამდივნოს ან/და პროფესორის მიერ).

გაცვლითი პროგრამაზე განაცხადის გაკეთებით დაინტერესებული აკადემიური/ადმინისტრაციული პერსონალი უნდა დარეგისტრირდეს გაცვლითი და მობილობის პროგრამების მართვის ელექტრონულ სარეგისტრაციო პორტალზე mobility.tsu.ge და ატვირთოს სააპლიკაციო დოკუმენტაციის სრული ჩამონათვალი (PDF ფორმატში) და გამოგზავნოს განაცხადი ელექტრონულად მიმდინარე წლის 3 აპრილის 16 საათამდე!

- გამოგზავნილი განაცხადის შეცვლა ან/და ატვირთული დოკუმენტ(ებ)ის გამოცვლა შეუძლებელია.
- რეკომენდატორის მიერ რეკომენდაციის შევსების და გამოგზავნის გარეშე სააპლიკაციო განაცხადის გამოგზავნა არ არის შესაძლებელი. შესაბამისად, მშვნელოვანია რეკომენდატორი ჯეროვნად ინფორმირებული იყოს განაცხადის გამოგზავნის დედლაინის თაობაზე

დამატებითი მნიშვნელოვანი ინფორმაცია:

ა) გაცვლითი და მობილობის პროგრამების მართვის ელექტრონული სარეგისტრაციო პორტალი mobility.tsu.ge

- გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ პორტალი mobility.tsu.ge არ არეგისტრირებს განაცხადებს ზემოთ მითითებული ვადის (3 აპრილის 16:00სთ) გასვლის შემდეგ;
- პორტალი mobility.tsu.ge არ არეგისტრირებს არასრულ სააპლიკაციო პაკეტს. სააპლიკაციო განაცხადი ელექტრონულად ჩაბარებულად ითვლება მხოლოდ **გაგზავნის** დილაკის დაჭერის შემდეგ. სააპლიკაციო დოკუმენტაციის წარმატებით გამოგზავნის შემდეგ აპლიკანტი მეილზე მიიღებს შესაბამის შეტყობინებას.
- გასაუბრებების დრო, თარიღი და ადგილი ინდივიდუალურად დაეგზავნება ყველა აპლიკანტს პორტალზე [mobility.tsu.ge] მითითებულ მეილზე;

ბ) ფინანსები და Covid-19-თან დაკავშირებული შეზღუდვები

ფიზიკური მობილობის განხორციელება, შესაძლოა, დაკავშირებული იყოს მიმდებ ქვეყანაში შესვლასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წესების და რეგულაციების დაცვასთან, როგორცაა Covid-19 ვაქცინაციის სრული კურსის (მათ შორის, ერთი ან მეტი ბუსტერ დოზის ჩათვლით) ჩატარების დამადასტურებელი დოკუმენტის ფლობა, PCR ტესტირება (ერთ ან მრავალჯერადად), საკარანტინო სივრცეში დარჩენა, სამოგზაურო, ჯანმრთელობის და უბედური შემთხვევის დაზღვევა და სხვა, რაც ფინანსურ ხარჯებთან და დროით რესურსთან არის დაკავშირებული. ყველა ასეთი ხარჯის ანაზღაურება უნდა განხორციელდეს მობილობაში მონაწილის მიერ.

გ) კონკურსის ორგანიზების საფუძველი და შერჩევის წესი

[თსუ-ს რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ერთობლივი ბრძანება სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო გაცვლით და მობილობის პროგრამებში მონაწილეობისათვის პერსონალის შერჩევის წესის დამტკიცების თაობაზე \(N 8/04\)](#)

[სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო გაცვლით და მობილობის პროგრამებში მონაწილეობისათვის პერსონალის შერჩევის წესი \(დანართი N1\).](#)

[თსუ-ს მიერ ადმინისტრირებული გაცვლითი და მობილობის პროგრამების კონკურსზე დაშვების პირობები და მონაწილეობის წესები აკადემიური პერსონალისათვის](#)

დამატებითი კითხვების არსებობის შემთხვევაში, დაუკავშირდით საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტს ელ-ფოსტაზე outgoingmobility@tsu.ge